პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი
№ 165 (11776) | კვირა, 17 ივლისი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1960 წლის 16 ივლისს მუშაობა დაამთავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც 13 ივლისს გაიხსნა.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სახელმწიფო-საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ამხ. კ. მ. გერასიმოვის, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ი. ს. სენინის, ლატვიის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. ი. გაილეს, კრასნოიარსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. პ. ო. ლომაკოს, კემეროვოს სახალხო მეურნეობის საბჭოს ამხ. ლ. ე. გრაფოვის, უარალღნდის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ბ. ფ. ბრატჩენკოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ა. ი. კოსტოუსოვის, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტის დირექტორის ამხ. ბ. ე. პატონის მოხსენებანი, „თუ როგორ სრულდება სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებანი მრეწველობის, ტრანსპორტის განვითარების და წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვის შესახებ“. მოხსენებათა გამო კამათში მონაწილეობა მიიღო 23 კაცმა.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომელიც დღეს ქვეყნდება.

იმასთან დაკავშირებით, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი არჩეულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ, იგი განთავისუფლებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან.

პლენუმმა გაათავისუფლა ამხ. კ. ე. ვოროშილოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან მისი პირადი თხოვნისამებრ.

პლენუმმა მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. შ. რ. კოჭლოვის მოხსენება „მოძმე პარტიების წარმომადგენელთა ბუქარესტის თათბირის შედეგების შესახებ“.

პლენუმმა სავსებით მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დელეგაციის საქმიანობა ამ თათბირზე და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

მრეწველობის, ტრანსპორტის განვითარებისა და წარმოებაში მეცნიერების და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვის თაობაზე სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება,

ერთხმად მიღებული 1960 წლის 15 ივლისს

საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებს სკკპ XX და XXI ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის შესახებ. საბჭოთა ადამიანებმა, რომელნიც იჩენენ შემოქმედებითს აქტივობასა და შრომითს გმირობას, პირველი დიდი გამარჯვებანი მოიპოვეს შვიდწლედის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში. განვლილ წელიწადნახევარში სამრეწველო პროდუქციის წარმოება გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა, უდიდესი მასშტაბით მიმდინარეობს კაპიტალური მშენებლობა, წარმატებით ვითარდება ტრანსპორტი, განუხრელად მიდის შემდგომი აღმავლობის გზით სოციალისტური სოფლის მეურნეობა.

განვლილი პერიოდი აღინიშნა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი დიდი მონაპოვრებით. მიღწევებმა ოსმოსური სივრცის გამოკვლევაში, ატომური ენერგიის შვიდობიან გამოყენებაში, რაკეტმშენებლობაში, რადიოელექტრონიკასა და ცოდნის სხვა დარგებში საშუალება მისცა საბჭოთა კავშირს წამყვანი ადგილი დაეკავებინა მსოფლიო მეცნიერებაში.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი ზრდის საფუძველზე წლითიწლობით მაღლდება საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონე. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გადაწყვეტილებანი მუშა-მოსამსახურეთა გადასაყვანად გაუქმების შესახებ, მიმდინარე წელს შვიდი და ექვსი საათის სამუშაო დღეზე გადასვლის დამთავრების შესახებ, ისევე როგორც საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების სხვა ღონისძიებანი უწინარეს ყოვლისა კომუნისტური პარტიის სწორი პოლიტიკის შედეგია, რომელმაც უზრუნველყო ჩვენი სამშობლოს საწარმოო ძალების განვითარების მაღალი ტემპები.

საბჭოთა კავშირის ეკონომიკის ზრდა კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიო სოციალისტური ბანაკის ძლიერებას, ჩვენს პოზიციებს მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლაში. საერთაშორისო ურთიერთობის განვითარება საგსებით ადასტურებს, რომ სწორია სკკპ XX-XXI ყრილობების დასკვნები იმის შესახებ, რომ ახლა, როცა მძლავრი სოციალისტური ბანაკი არსებობს, არის იმის შესაძლებლობა, რომ თავიდან ავიცილოთ ომი. ცხოვრება ცხადყოფს, რომ თუ ყველა ხალხი სიფხიზლეს გამოიჩენს აგრესორების ხრიკებისადმი, კიდევ უფრო აქტიურად და შეუპოვრად იბრძოლებს გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტისა და აკრძალვისათვის, შეიძლება კაცობრიობა განთავისუფლდეს ომის საშინელებათაგან და განმტკიცდეს საყოველთაო მშვიდობის საქმე.

საბჭოთა კავშირის ისტორიული მიღწევები კომუნისტურ მშენებლობაში ნათლად მოწმობენ, რომ დიადი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებული ჩვენი ხალხი საიმედო გზით მიდის წინ — კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

I. საბჭოთა ხალხის თვალსაჩინო წარმატებანი შვიდწლიანი გეგმის განხორციელებაში

მოისმინა და განიხილა რა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს, ლატვიის, კრასნოიარსკის, კემეროვოს და უარალგნდის სახალხო მეურნეობის საბჭოების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის და უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ელექტროშედუღების ინსტიტუტის მოხსენებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ მოვაშორე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები და მინისტრთა საბჭოები, სკკპ სამხარეო კომიტეტები, საოლქო კომიტეტები და სახალხო მეურნეობის საბჭოები დიდ მუშაობას ეწევიან იმისათვის, რომ შესრულდეს სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებანი მრეწველობის, ტრანსპორტის განვითარების და წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვის შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ შვიდწლიანი გეგმის შესრულება წარმატებით მიმდინარეობს. **საყოველთაო-სახალხო მოძრაობამ შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის, სამეურნეო მშენებლობისადმი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის გაძლიერებამ შესაძლებელი გახადა განვლილ წელიწადნახევარში მნიშვნელოვნად გადაგვეჭარბებინა სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდისა და ტრანსპორტის განვითარების ტემპები, რომლებიც გეგმით იყო გათვალისწინებული.** სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მატებამ 1959 წელს შეადგინა 1 პროცენტზე მეტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7,7 პროცენტისა, და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში — 10 პროცენტზე მეტი, ნაცვლად წლიური გეგმით დასახული 8,1 პროცენტისა. რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა შარშან გაიზარდა 9,8 პროცენტით ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4,3 პროცენტისა. ტვირთზიდვის დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს საზღვაო, სამდინარო და საავტომობილო ტრანსპორტი. გაუმჯობესდა სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოსახურება კავშირგაბმულობის საშუალებებით.

მაღალი ტემპებით ვითარდება მძიმე ინდუსტრია — მთელი სახალხო მეურნეობის საფუძველი. შვიდწლედის დამდეგიდან წარმოებულია საკონტროლო ციფრების გაანგარიშებით გათვალისწინებულზე მეტი: ფოლადი 3,4 მილიონი ტონა, ნაგლინი — 2,6 მილიონი ტონა, ელექტროენერგია — 5 მილიარდი კილოვატსაათი, ამოღებულია ნავთობი სამ მილიონ ტონაზე მეტი, რკინის მადანი — 4 მილიონ ტონაზე მეტი, მნიშვნელოვნად მეტია წარმოებული მანქანები, ქიმიური და სხვა პროდუქცია.

ხალხის კეთილდღეობისათვის პარტიის მუდმივი ზრუნვის მეოხებით ბევრად გადიდდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, გადაჭარბებით სრულდება ხაბინაო მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა, 1959 წელს და მიმდინარე წლის 6 თვეში გამომუშავებულია შვიდწლედის საკონტროლო ციფრების გაანგარიშებათა გადამეტებით 601 მილიონი გრძივი მეტრი ქსოვილები, 28 მილიონი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი, 666 ათასი ტონა ორცი (ნედლეულის სახელმწიფო რესურსებიდან) და ევრი სხვა საქონელი. შვიდწლედის მარტო პირველ წელს ქალაქებსა და მუშათა დაბებში აშენებულია 80,4 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, ანუ 2 მილიონ 200 ათასზე მეტი ბინა, და 800 ათასზე მეტი სახლი სოფლად. საბჭოთა კავშირმა მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა ათას მცხოვრებზე ბინების მშენებლობის მხრივ.

დიდ კაპიტალურ დაბანდებათა შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ძირითადი ფონდები მრეწველობისა და ტრანსპორტის ყველა დარგში. წელიწადნახევრის განავლობაში მწყობრში ჩადგა 1.400-ზე მეტი ახალი სამრეწველო საწარმო, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, საექსპლოატაციოდ გადაცემულია 1.200 ჰექტარზე მეტი რკინიგზის ხაზები. სწრაფი ტემპებით ითარდება ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონების ეკონომიკა.

მოქმედ წარმოებათა რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის საწარმოების კოლექტივების, პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა განხორციელებამ შესაძლებლობა მოგვცა გაგვეზარდა სიმძლავრეები და გაგვედიდებინა პროდუქციის გამოშვება ბევრ ქარხანაში, ფაბრიკაში, შახტსა და მაღაროში.

სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, რაც მიღწეულია იმის შედეგად, რომ თანმიმდევრულად ხორციელდება წარმოების შემდგომი ტექნიკური სრულყოფის პროგრამა, რომელიც ყრილობამ მიიღო, გაძლიერდა პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ყურადღება, განსაკუთრებით ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვისადმი. 1959 წელს და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცნიერული კვლევის, საპროექტო, საკონსტრუქტორო და ექსპერიმენტულ სამუშაოთა მოცულობა, შეიქმნა 2.300-ზე მეტი ახალი უმნიშვნელოვანესი ნიმუშის მანქანები და აპარატები, დიდძალი ხელსაწყოები და მასალები, დაინერგა 2.000-ზე მეტი ნაკადური, კონვეიერული, ავტომატური და ნახევრადავტომატური ხაზი; წარმოებიდან მოიხსნა მოძველებული კონსტრუქციების ათასზე მეტი სხვადასხვა ტიპის მანქანები, მექანიზმები და ხელსაწყოები, რომელთა ნაცვლად მოეწყო უფრო სრულყოფილი მოწყობილობის გამოშვება. დიდი მასშტაბებით გაიშალა პროგრესული ტექნოლოგიური პროცესებისა და ახალი ტექნიკის დანერგვის წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის სამუშაოები. 1959 წელს სახალხო მეურნეობის საბჭოებისადმი დაქვემდებარებულ მანქანათმშენებელ ქარხნებში მოდერნიზებულია თითქმის 30 პროცენტით მეტი ტექნოლოგიური მოწყობილობა, ვიდრე 1958 წელს.

შედუღებულ კონსტრუქციათა წარმოების მოცულობა 1959 წელს გადიდდა 1,3-ჯერ 1958 წელთან შედარებით, ამაღლდა შედუღების სამუშაოთა მექანიზაციის დონე. მრეწველობა უფრო ფართოდ იყენებს შედუღების ძაღალი წარმადობის მექანიზებულ ხერხებს — ელექტროწიდურს, გაზელექტრულსა და კონტაქტურს, ავტომატურ და ნახევრადავტომატურ შედუღებასა და დადუღებას ფლუსით.

მთელი რიგი მძლავრი თბოელექტროსადგურებისა და ჰიდრავლიკური ელექტროსადგურების ამოქმედებამ საშუალება მოგვცა დაგვეჩქარებინა ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის ტემპები. დიდი მუშაობაა გაწეული სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ერთიანი ენერგეტიკული სისტემის, დასავლეთ ციმბირის, შუა აზიისა და ამიერკავკასიის ენერგოსისტემათა შესაქმნელად. საბჭოთა კავშირს ახლა მსოფლიოში ყველაზე მძლავრი ელექტროგადაცემის ხაზები აქვს, რომელთა ძაბვა 500 ათას ვოლტს აღწევს.

ხორციელდება ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების პროგრამა, რომელიც შეიმუშავა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის (1958 წლის) პლენუმმა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მიმდინარე წელს გამომუშავებულ იქნება სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები 1,5-ჯერ, ქიმიური ბოჭკოები 1,4-ჯერ, ხოლო სინთეზური სპირტი თითქმის 3-ჯერ მეტი, ვიდრე 1957 წელს.

ფართო ფრონტით გაჩაღდა მუშაობა ძირითად სახეობათა ტრანსპორტის ძირეული ტექნიკური რეკონსტრუქციისათვის. გადაჭარბებით სრულდება რკინიგზების ელექტროფიკაციის გენერალური გეგმა. ელექტროფიცირებული რკინიგზების სიგრძით და რკინიგზის ტრანსპორტის ელექტროფიკაციის ტემპებით საბჭოთა კავშირს ახლა მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს. საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტზე მოძველებული ნაკლებეკონომიური გემები იცვლება ახალი სწრაფმავალი გემებით, სწრაფი ტემპებით ვითარდება საავტომობილო ტრანსპორტი, საჰაერო მაგისტრალებს ემსახურებიან ჩქარი თვითმფრინავები ტურბოხრახნიანი და ტურბორეაქტიული ძრავებით.

ტექნიკური პროგრესი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა მეცნიერების წარმატებებთან, ჩვენს მეცნიერთა თვალსაჩინო მიღწევებთან.

პარტიის XXI ყრილობის შემდეგ მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობაში დამახასიათებელი თავისებურებაა წარმოების მთელი ხარისხობრივი მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ამაღლება წარმოების ტექნიკური სრულყოფის, შინარეზერვების გამონახვისა და გამოყენების დარგში პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების, მუშების, ტექნიკოსებისა და ინჟინრების დიდი მუშაობის მეოხებით შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, ტვირთზიდვის ღირებულების შემცირების, დაგროვების ზრდის დავალებანი გადაჭარბებით შესრულდა.

სამუშაო დღის შემოკლების განხორციელების პირობებში შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში დასაქმებულ ერთ მუშაკზე გაანგარიშებით გაიზარდა შარშან 7,4 პროცენტით და 1960 წლის პირველ ნახევარში — 6,4 პროცენტით. ტრანსპორტზე ტვირთბრუნვის გადიდება მიღწეულ იქნა ძირითადად შრომის ნაყოფიერების ზრდით. ზეგეგმიმა ეკონომიამ თვითღირებულების შემცირებისაგან 1959 წელს შეადგინა მრეწველობაში 10 მილიარდი მანეთი, ტრანსპორტზე — 1,9 მილიარდი მანეთი.

საზოგადოებრივი წარმოების და უწინარეს ყოვლისა მრეწველობის ზრდის სწრაფმა ტემპებმა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებამ განაპირობა ეროვნული შემოსავლის სწრაფი ზრდა. 1959 წელს 1958 წელთან შედარებით ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 8 პროცენტით, ხოლო მიმდინარე წელს იგი გაიზრდება დაახლოებით 9 პროცენტით.

შვიდწლიანი გეგმის განხორციელებაში თვალსაჩინო წარმატებები მიღწეულია გმირი მუშათა კლასის, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობის, ჩვენი შესანიშნავი ინტელიგენციის თავდადებული შრომის, მთელი საბჭოთა ხალხის დიდი შემოქმედებითი აქტივობის, კომუნისტური პარტიის უდიდესი ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად. საბჭოთა კავშირის მშრომელები პირნათლად ასრულებენ დიდ შრომითს ვალდებულებებს, რომლებიც მათ იკისრეს დიადი მიზნის — ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების განხორციელების დაჩქარებისათვის, რაც უზრუნველყოფს ადამიანის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა სრულ დაკმაყოფილებას.

შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში არიან თანამედროვეობის შესანიშნავი მოძრაობის — კომუნისტური შრომის დამკვრელების, ბრიგადების, საამქროებისა და საწარმოების შეჯიბრების მილიონობით მონაწილენი, რომლებიც გვიჩვენებენ მაგალითს, თუ როგორ უნდა მუშაობა, სწავლა და ცხოვრება კომუნისტურად.

შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში თვალსაჩინო საწარმოო შედეგები მოიპოვეს ბევრი მოწინავე საწარმოს კოლექტივებმა.

კრივოი როგის შახტ „ბოლშევიკის“ მაღაროელებმა მადნის მოპოვებისა და ტრანსპორტირების ტექნოლოგიის სრულყოფის, უბნების, სანგრევებისა და სამსახურების გამსხვილების, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის გზით წელიწადნახევარში თითქმის ერთიორად გაადიდეს შრომის ნაყოფიერება. ნიჟნი ტაგილის მეტალურგიული კომბინატის კოლექტივმა გამოიყენა წარმოების რეზერვები, გეგმის გადამეტებით გამოიმუშავა შარშან და მიმდინარე წლის 5 თვეში 34 ათასი ტონა თუჯი, 82 ათასი ტონა ფოლადი და დაახლოებით 100 ათასი ტონა ნაგლინი. კომბინატის მეტალურგები იბრძვიან იმისათვის, რომ მიაღწიონ ფოლადის წარმოების 1965 წლისათვის დაგეგმილ მოცულობას უკვე მომავალ წელს, თუჯისა — 1962 წელს და ნაგლინისა — 1963 წელს. სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის კოლექტივმა განახორციელა დიდი ღონისძიებანი წარმოების ტექნიკური სრულყოფისათვის და წელიწადნახევარში გეგმის გადამეტებით დაამზადა 3.000-ზე მეტი ტრაქტორი.

თათრეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს ტრესტ „ალმეტიევნეფტის“ № 3 ბურღვის კანტორის მენავთობეებმა შარშან და 1960 წლის პირველ ნახევარში ვადამდე შეასრულეს ნავთობის ჭაბურღილების ბურღვის გეგმა და ამავე დროს შეამცირეს მბურღავთა ბრიგადების რაოდენობა, ბურღვის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით კოლექტივი უკვე გასცდა 1964 წლის ზღუდეს. ნოვოროსიისკის ცემენტის ქარხანა „ოქტიაბრის“ მუშაკებმა მოწყობილობის უკეთ გამოყენების, მოცდენათა ლიკვიდაციის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გზით შარშან დაახლოებით ერთიორად გადააჭარბეს შრომის საშუალო ნაყოფიერებას ცემენტის მრეწველობაში. ივანოვოს კრუპსკაიას სახელობის საქსოვი ფაბრიკისა და კინეშმის სართავი ფაბრიკა „კრასნაია ვეტკის“ კოლექტივებმა დაზგებისა და მანქანების მოდერნიზაციის, ტექნოლოგიის გაუმჯობესების, მუშაობის ხერხების სრულყოფის გზით 1960 წელს მიაღწიეს მოწყობილობის წარმადობის ამ დონეს, რომელიც დაგეგმილია შვიდწლედის დამლევისათვის.

მიბაძა რა მოწინავეთა მაგალითს, დიდი შრომითი წარმატებანი მოიპოვა ქარხნების, ფაბრიკების, შახტების, მაღაროების, მშენებლობათა და ტრანსპორტის საწარმოთა ათასობით კოლექტივმა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარება უკანასკნელ წლებში დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაცია ნამდვილად რევოლუციური ღონისძიება იყო, რომელმაც საშუალება მოგვცა უფრო სრულად გამოვიყენოთ სოციალისტური ეკონომიკის შესაძლებლობანი. ხელმძღვანელობის მიახლოებამ საწარმოებთან, მეურნეობის მართვაში ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების როლის გაძლიერებამ მასების გაზრდილმა შრომითმა აქტივობამ დააჩქარა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარება. თუ 1954-1956 წლებში სამრეწველო პროდუქციის წარმოების საშუალო-წლიური მატება 100 მილიარდ მანეთს შეადგენდა, 1958-1960 წლებში გადააჭარბებს 130 მილიარდ მანეთს. სახალხო მეურნეობის საბჭოების ორგანიზაციის შემდეგ განვლილ სამ წელიწადში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 130 მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების სამრეწველო პროდუქცია. მნიშვნელოვნად გაძლიერდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები. სისტემატურად გადაჭარბებით სრულდება პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმები. გაიზარდა რენტაბელობა მრეწველობის მუშაობაში. იმისათვის, რომ უფრო სწრაფად ვიაროთ წინ, საჭიროა უკეთ გამოვიყენოთ მეურნეობის მართვის ახალი ფორმის დიდი უპირატესობანი, რომელსაც საფუძვლად უდევს ადგილების ინიციატივის ყოველი ღონისძიებით განვითარებასთან ცენტრალიზებული გეგმიანი ხელმძღვანელობის შეხამების ლენინური პრინციპი.

განვლილ წელიწადნახევარში მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობის შედეგებიდან ძირითადი დასკვნა ის არის, რომ წარმატებით ხორციელდება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გრანდიოზული პროგრამა, რომელიც სკკპ XXI ყრილობამ მიიღო. პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები, ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელნი ავლენენენ და მოქმედებაში მოჰყავთ უდიდესი დამატებითი რეზერვები და შესაძლებლობანი, რაც აჩქარებს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარებისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების შესახებ ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას, ქმნის პირობებს შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

II. უფრო სრულად გამოვიყენოთ შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარების ტემპების დაჩქარების შესაძლებლობანი

კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე მოპოვებული წარმატებანი იმას მოწმობენ, რომ პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირულმა ორგანოებმა დიდი გამოცდილება შეიძინეს ბრძოლაში ტექნიკური პროპაგანდის ბაზაზე მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარების ტემპების დაჩქარებისათვის, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის. მთავარი ახლა ის არის, რომ გამოვიყენოთ ეს გამოცდილება, სრულყოთ ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვის მთელი საქმის ორგანიზაცია, უფრო გაბედულად დავუჭიროთ მხარი და ბეჯითად განვავითაროთ ახალი, პროგრესული, ყოველივე ის, რაც ყოველდღიურად იბადება საწარმოებში, საკონსტრუქტორო, საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციებში და აჩქარებს ჩვენს წინსვლას კომუნიზმის გზით.

მიღწევებმა ტექნიკური პროგრესის დარგში არ უნდა შეასუსტონ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ყურადღება იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისადმი, რომლებიც ჯერ კიდევ არის ამ დიდ და მნიშვნელოვან საქმეში. პლენუმი აღნიშნავს, რომ ბევრი სახალხო მეურნეობის საბჭო და საწარმო ვერ ასრულებს ახალი ტექნიკის დამუშავებისა და დანერგვის გეგმებს, ხოლო პარტიული ორგანიზაციები შემწყნარებლურ დამოკიდებულებას იჩენენ ხელმძღვანელებისადმი, რომლებიც ურიგდებიან უდისციპლინობას სახელმწიფო დავალებათა შესრულებაში. ახალი ტექნიკის გეგმების შესრულებაში ჩამორჩებიან უაზახეთის, საქართველოს და უზბეკეთის, კემეროვოს, პერმის, როსტოვის, სტალინოსა და ზოგიერთი სხვა ეკონომიური რაიონების მთელი რიგი საწარმოები.

ახალი მანქანებისა და პროცესების დანერგვის გეგმებს ადგენენ, როგორც წესი, საწარმოო გეგმების შემუშავების შემდეგ, რის შედეგადაც საგეგმო დავალებებში გათვალისწინებული არ არის ყველა შესაძლებლობა, რომლებსაც სახავს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვა წარმოების გადიდებისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის. ბევრ შემთხვევაში ახალი ტექნიკის გეგმები განმტკიცებული არ არის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.

ზოგიერთ საწარმოში, საკონსტრუქტორო ბიუროებსა და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში ჯერ კიდევ ნელა ხორციელდება ახალ სახეობათა მანქანებისა და მოწყობილობის შემუშავება და ათვისება, წარმოებაში პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა, წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია. იშვიათი როდია შემთხვევები, როცა ახლად შექმნილი მოწყობილობა და ხელსაწყოები თავიანთი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნებს. ბევრი საწარმო და საკონსტრუქტორო ორგანიზაცია მანქანებს ქმნის მხოლოდ ცალკეული საწარმოო ოპერაციებისათვის, ისე რომ ახალი ტექნოლოგიური პროცესები არ არის კომპლექსურად აღჭურვილი მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებებით. მანქანათმშენებლობის საკონსტრუქტორო და საექსპერიმენტო ბაზა სერიოზულად ჩამორჩება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს.

არის ნაკლოვანებები აგრეთვე ტრანსპორტზე ტექნიკური პროგრესის განხორციელებაში. მთელი რიგი რკინიგზის მაგისტრალების რეკონსტრუქცია არაკომპლექსურად ხორციელდება: მნიშვნელოვნად ჩამორჩება ავტომატიკის დანერგვა მატარებლების მოძრაობის მართვაში, მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია და საილაშდაგო მეურნეობის გაძლიერება, რის შედეგადაც ელმავლებისა და თბომავლების გამოყენების ეფექტიანობა ბევრად მცირდება. ზოგიერთი სახალხო მეურნეობის საბჭო ვერ ასრულებს ტრანსპორტისათვის ლოკომოტივების, ვაგონების, საზღვაო და სამდინარო გემების მიწოდების გეგმებს.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

(გაგრძელება)

მთელი რიგი სახალხო მეურნეობის საბჭოების საწარმოები გერ ასრულებენ სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის ახალი ტექნიკის წარმოების ათვისებისა და მიწოდების დავალებებს.

სახალხო მეურნეობის საბჭოების ორგანიზაციის შემდეგ და განსაკუთრებით სკკპ XXI ყრილობის შემდეგ ეკონომიურ რაიონებში განხორციელდა მნიშვნელოვანი მუშაობა სპეციალიზაციისა და კოოპერირების დარგში. მთელ რიგ სახალხო მეურნეობის საბჭოებში შექმნილია ლითონის ნაკეთობათა, სხმულის, ნაგედისა და სტანდარტული ინსტრუმენტის სპეციალიზებული წარმოება, რამაც შესაძლებელი გახადა გადიდებულიყო მათი გამოშვება და შემცირებულიყო თვითღირებულება. აღნიშნავს რა ამ ღონისძიებათა დადებით მნიშვნელობას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს ამასთან მიაჩნია, რომ ეკონომიური რაიონის შიგნით წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება მთლიანად გერ წყვეტს ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემას. მეურნეობის სოციალისტური სისტემა გულისხმობს და შესაძლებელს ხდის წარმოების განვითარებას საზოგადოებრივი შრომის ფართო განაწილების, რაციონალური სპეციალიზაციისა და კოოპერირების ბაზაზე.

წარმოების ახლანდელი მოცულობის დროს სსრ კავშირში ეკონომიურად დასაბუთებული სპეციალიზაციისა და კოოპერირების განხორციელება სასიცოცხლოდ გადაუდებელი საქმეა; მისი თანმიმდევრულად განხორციელება საშუალებას მოგვცემს ავამოქმედოთ ჩვენი ეკონომიკის უდიდესი რეზერვები. ამავე დროს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიები და ზოგიერთი სახალხო მეურნეობის საბჭო აყოვნებენ ამ საქმეს, არ შეუმუშავებიათ მრეწველობის წამყვანი დარგების სპეციალიზაციისა და კოოპერირების პერსპექტიული გეგმები.

ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ფართოდ დანერგვის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის შემდგომ გაუმჯობესებას. ამავე დროს მრეწველობისა და ტრანსპორტის ბევრ საწარმოში ეს საკითხები ჯერ კიდევ არ დგას სამეურნეო ხელმძღვანელებისა და პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. ამის შედეგად ასეთ საწარმოებში ცუდად იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებსა და მოწყობილობას, ურიგდებიან მუშების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების არარაციონალურად განაწილებას, დაბმბავრე და მომსახურე პერსონალის ზედმეტ, წარმოების ხაჭიროებით გაუმართლებელ რაოდენობას, დიდ მოცდენებს, პროდუქციის არარიტმულ გამოშვებას. ზოგიერთ რკინიგზაზე არ სრულდება ლოკომოტივების გამოყენების გაუმჯობესების დავალებანი, ნელა იზრდება მატარებელთა მოძრაობის სიჩქარე. ვაგონების, გემებისა და ავტომობილების მოცდენა ბევრ სადგურში, ნავსადგურებში და საწარმოთა მისასვლელ ლიანდაგებზე მნიშვნელოვნად აღემატება დადგენილ ნორმებს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტი, მრეწველობის დარგების სახელმწიფო კომიტეტები და ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოები ურიგდებიან ნელ ტემპს ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1959 წლის) პლენუმის იმ მითითებათა შესრულებაში, რომლებიც ეხება წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის პერსპექტიული გეგმების შედგენას, ამისათვის საჭირო მანქანების, მექანიზმებისა და ხელსაწყოების გამოშვების გადიდებას, მოქმედი მოწყობილობის მოდერნიზაციისათვის კვანძებისა და აგრეგატების ცენტრალიზებული წარმოების ორგანიზაციას და სხვა ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ჩვენს ქვეყანაში ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარება.

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მიმდინარე შვიდწლედის ძირეული პრობლემის გადაჭრა — კაპიტალიზმთან სოციალიზმის მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში დროის მაქსიმალურად მოგება — შეიძლება მხოლოდ ტექნიკური პროგრესის ტემპების ყოველი ღონისძიებით გაძლიერებისა და ამ საფუძველზე შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის უნდა ავამოქმედოთ მთელი რეზერვები და შესაძლებლობანი, რომლებიც ჩვენს ეკონომიკას აქვს. ისინი გამოიხატებიან უწინარეს ყოვლისა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის დაჩქარებით, ჩვენი ქვეყნის შემდგომი ელექტროფიკაციით, საწარმოთა სპეციალიზაციისა და კოოპერირების განხორციელებით, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის რაციონალური მეთოდების ყველგან გამოყენებით. ახალ საწარმოო სიმძლავრეთა მშენებლობისა და დროზე ამუშავების ვადების შემოკლებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამშენებლო წარმოების ინდუსტრიული ბაზის ყოველი ღონისძიებით განმტკიცებას. ამ შესაძლებლობათა გამოვლინება და გამოყენება პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ცენტრალური ამოცანა უნდა გახდეს.

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდებას, როგორც გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების გადამწყვეტ წყაროს და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საფუძველს.

მეურნეობის სოციალისტურ სისტემაში ორგანულად შეხამებულია თვითეული მშრომელის დაინტერესება თავისი შრომის შედეგით მთელი საზოგადოების ინტერესებთან. დიდი ლენინის მითითებათა მიხედვით, კომუნისტური პარტია სამეურნეო მშენებლობის ყველა ეტაპზე განუხრელად ახამებდა სოციალიზმის მშენებლობაში მასების ენთუზიაზმსა და ინიციატივას მატერიალური დაინტერესების პრინციპის ყოველი ღონისძიებით გამოყენებასთან საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების გაძლიერებისა და მეცნიერებისა-განვითარებისაკენ. კომუნიზმის მშენებლობის დიადმა ამოცანებმა გამოიწვია სოციალისტური შეჯიბრებისა და მშრომელთა აქტივობის ახალი მძლავრი აღმავლობა, წარმოშვა კომუნისტური შრომის დამკვრელებისა და ბრიგადების შესანიშნავი მოძრაობა. ამ ამოცანების შესაბამისად უკანასკნელ წლებში განხორციელდა ღონისძიებანი წარმოების მოცულობის გადიდებით, მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებით, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური სრულყოფით მუშების, კოლმეურნეების, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების მატერიალური დაინტერესების შემდგომი გაძლიერებისათვის. ცენტრალური კომიტეტის პლენუმი წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციას კვლავაც იხელმძღვანელონ თავიანთ მუშაობაში ამ უმნიშვნელოვანესი ლენინური დებულებით.

2. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის დასაჩქარებლად, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის უფრო სრულყოფილი მანქანების, მოწყობილობისა და ხელსაწყოების შესაქმნელად და გამოშვების ასათვისებლად, მოძველებული პროდუქციის ახალი, თანამედროვე პირობების შესაბამისი პროდუქციით მალე შესაცვლელად.

საწარმოთა კოლექტივების, სამეცნიერო-საკვლევი, საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციების, უმაღლესი სასწავლებლების, სახალხო მეურნეობის საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების სპეციალისტების მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ეს უწინარეს ყოვლისა ისეთ ტექნიკურ პრობლემებს, რომელთა გადაჭრა საშუალებას მოგვცემს მივიღოთ დიდი ეკონომიური ეფექტი და მოვიგოთ დრო; მძიმე ხელის შრომის ლიკვიდაციის დაჩქარებას; ახალი სამრეწველო მასალების, განსაკუთრებით სინთეზური მასალების შექმნას და მათ ფართოდ გამოყენებას წარმოების სხვადასხვა დარგში; რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის განვითარებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მშრომელი შასების აქტიურ მონაწილეობას წარმოების ტექნიკურ სრულყოფაში.

უნდა დაჩქარდეს მოქმედი მოწყობილობის მოდერნიზაციისა და საწარმოთა რეკონსტრუქციის ტემპები, რათა მოკლე ვადაში და ნაკლები კაპიტალდაბანდებებით გადიდდეს შრომის ნაყოფიერება და გაიზარდოს პროდუქციის გამოშვება.

რჩება მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს ყველგან გაავრცელონ ნოვო-კრამატორსკის ქარხნის გამოცდილება, რომლის კოლექტივმა საკუთარი ძალებით შეიმუშავა ტექნიკური დოკუმენტაცია და მოაწყო მის მიერ ადრე გამოშვებული მოწყობილობის მოდერნიზაციისათვის, მოსკოვის საქალაქო სახალხო მეურნეობის საბჭოს იმ მანქანათმშენებლო ქარხნებისათვის საჭირო დეტალებისა, და კვანძების წარმოება, რომლებიც ფართოდ იყენებენ ნორმალიზებულ კვანძებსა და აგრეგატებს ახალი ჩარხებისა და ავტომატური ხაზების შექმნის დროს, ომსკის რკინიგზის გამოცდილება, სადაც შემუშავდა და დაინერგა დაგრძელებულ წევის უბნებზე ლოკომოტივების ექსპლოატაციის ახალი მეთოდი, აგრეთვე სხვა მოწინავე საწარმოთა გამოცდილება, რომლებიც იჩენენ ძვირფას თაოსნობას წარმოების ტექნიკური სრულყოფისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი წინადადებას აძლევს პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანიზაციებს გაძლიერონ ბრძოლა ჩამორჩენილობისა და კონსერვატიზმის წინააღმდეგ. ნაკლოვანებებისადმი, ტექნიკური პროგრესის ამოკლანების გადაჭრისადმი გულგრილი დამოკიდებულების წინააღმდეგ.

3. მოწონებულ იქნას ქალაქ მოსკოვის, ლენინგრადის, სვერდლოვსკის, დნეპროპეტროვსკისა და მთელი რიგი სხვა ოლქების საწარმოთა კოლექტივების, პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ინიციატივა ახალი შინაგანი რეზერვების გამონახვისა და გამოყენების დარგში, რამაც შესაძლებლობა მისცა ამ ოლქების მშრომელებს ეკისრათ გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი უფრო სრულყოფილი ტიპების მანქანების, აპარატებისა და ხელსაწყოების, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა წარმოების ათვისებისა და გამოშვების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის შვიდწლიანი გეგმით დაწესებული უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების დონის გაკილებით უფრო ადრე მიღწევისათვის, ვიდრე გათვალისწინებული იყო წინანდელი ვალდებულებებით.

4. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების, მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მუშაკის ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა გადიდდეს სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ბიუროების მუშაობის ეფექტიანობა, შემცირდეს სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოების შესრულებისა და წარმოებაში მათი დანერგვის ვადები.

სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომსაბჭომ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მრეწველობისა და მშენებლობის დარგების სახელმწიფო კომიტეტებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა და სამინისტროებმა გააუმჯობესონ სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ბიუროებისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობის ხელმძღვანელობა, გაძლიერონ მათი საქმიანობის კოორდინაცია, აღმოფხვრან არასაჭირო პარალელიზმი და ვიწროფუწყებრივი მიდგომა საქმისადმი, არ დაუშვან ნაკლებად აქტუალური თემების შეტანა გეგმებში, განამტკიცონ საკვლევი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და საექსპერიმენტო ბაზა, მოაწესრიგონ ტექნიკური ინფორმაციის საქმე. მიიღონ ღონისძიებანი, რათა სავსებით გაათავისუფლონ საცდელი დანადგარები, საამქროები და საწარმოები სერიული პროდუქციის წარმოებისაგან.

რჩება მიეცეს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს ფართოდ დანერგონ მეცნიერთა, ინჟინერ-ტექნოლოგთა, დამპროექტებელთა, კონსტრუქტორთა და ქარხნების მუშაკთა ერთობლივი შემოქმედებითი მონაწილეობა პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების და ახალი ტექნიკის შექმნაში მათი დადუშავების ყველა სტადიაზე — ლაბორატორიული კვლევით დაწყებული წარმოებაში დანერგვამდე, გააძლიერონ კავშირი წარმოებასთან, ყოველდღიურად იმუშაონ თავიანთი მიღწევების დანერგვისათვის მრეწველობაში და ტრანსპორტზე.

წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომსაბჭოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტს მრეწველობისა და მშენებლობის დარგების სახელმწიფო კომიტეტებთან, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად შეიმუშაონ და ექვსი თვის ვადაში წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი უმნიშვნელოვანესი კვლევითი, საცდელი და საპროექტო სამუშაოების დაგეგმვის, კოორდინაციისა და მათი შესრულებისადმი კონტროლის გაუმჯობესების შესახებ.

5. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ხაზს უსვამს, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მიხედვით შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულების უმნიშვნელოვანესი პირობაა მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა წარმატებითი მუშაობა. მრეწველობა და ტრანსპორტი რომ ვითარდებოდეს კვლავაც უფრო ძლიერი ტემპებით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია შვიდწლიანი გეგმით, საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ პირველ რიგში საკონტროლო ციფრების გასწრებით სრულდებოდეს შავი და ფერადი ლითონების, ცემენტის, ნავთობპროდუქტების წარმოების, მადნის, ქვანახშირის, განსაკუთრებით კოქსადი ქვანახშირის, და გაზის მოპოვების დავალებანი.

ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებისათვის და ახალი საწარმოო სიმძლავრეების დროზე ამოქმედებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მანქანათმშენებლობის უფრო სწრაფ განვითარებას, მანქანების, აპარატების, მოწყობილობის, ხელსაწყოების, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებების და სხვა მოწყობილობის წარმოების გაფართოებასა და ტექნიკური დონის ამაღლებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს პარტიულ, სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანოებს ყოველდღიური კონტროლი დააწესონ მძიმე ინდუსტრიის საწარმოებსა და მანქანათსაშენებლო ქარხნებში სიმძლავრეთა ამოქმედებისადმი. მეტი ღონისძიებები იხმარონ შინაგანი რეზერვების გამონახვისა და გამოყენებისათვის, რათა გადიდდეს მძიმე ინდუსტრიისა და მანქანათმშენებლობის პროდუქციის გამოშვება.

6. აღნიშნავს რა, რომ რამდენადმე ჩამორჩება ახალი ენერგეტიკული სიმძლავრეებისა და ქიმიური პროდუქციის საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედება, ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და ელექტროსადგურთა მშენებლობის სამინისტროს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს გააძლიერონ ყურადღება ელექტროსადგურებისა და ქიმიური ქარხნების მშენებლობისადმი, თანამედროვე ტურბინების, ელექტრომანქანების ქვაბების და სხვა სახეობათა ქიმიური მოწყობილობის შექმნისადმი და წარმოების მალე მოწყობისადმი. საჭიროა მუდამ იხელმძღვანელობდეთ იმით, რომ ენერგეტიკული მშენებლობისა და ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების დარგში შვიდწლიანი გეგმის დავალებათა გადაჭარბებით შესრულება განამტკიცებს ტექნიკური პროგრესის ბაზას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

7. რადგან ახალ საწარმოთა მშენებლობაზე ტიპური ტექნოლოგიური პროცესებისა და ტიპური პროექტების გამოყენება საშუალებას გვაძლევს მნიშვნელოვნად შევამცირთთ ვადები და გავაიაფოთ მშენებლობა, ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მრეწველობისა და მშენებლობის დარგების სახელმწიფო კომიტეტებს შეიმუშაონ ტიპური პროგრესული ტექნოლოგიური პროცესები და სქემები ძირითად სახეობათა წარმოებისათვის მაღალი წარმადობის მოწყობილობის, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა საფუძველზე. დაწესდეს, რომ სამრეწველო საწარმოთა დამროექტებისა და რეკონსტრუქციის დროს მაქსიმალურად გამოყენებულ. უნდა იქნას ტექნოლოგიური მოწყობილობის ტიპური სქემები და კომპლექტები.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურმა საბჭომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სახალხოსამეურნეო გეგმებში გაითვალისწინონ მოწყობილობის საჭირო კომპლექტების დამზადება ტიპური პროცესების განსახორციელებლად იმ საწარმოებში, რომლებიც შენდება; განახორციელონ ღონისძიებანი საცდელ-საჩვენებელი, კომპლექსურ-ავტომატიზებული საწარმოების, აგრეთვე უახლესი ტექნიკის გამოყენების საფუძველზე დაპროექტებულ სხვა საწარმოთა მშენებლობის დასაჩქარებლად იმ მიზნით, რომ მოკლე ვადებში გავრცელდეს მათი მუშაობის გამოცდილება მრეწველობაში და ტრანსპორტზე. გააძლიერონ ყურადღება იმისადმი, რომ შეიქმნას და მალე იქნას ათვისებული ახალი მანქანების და სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაციის სხვა საშუალებათა წარმოება.

8. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანად მიაჩნია რკინიგზის ტრანსპორტის ძირეული ტექნიკური რეკონსტრუქციის, დაჩქარება, საზღვაო, სამდინარო, საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტის შემდგომი გაუმჯობესება და თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა, მილსადენი ტრანსპორტის სწრაფი განვითარება.

აღნიშნულ მუშაობაში ძირითადი მიმართულებები უნდა იყოს: რკინიგზის ტრანსპორტზე — ელექტროფიკაციისა და სათბომავალო წევის დაგეგვის ტემპების გაძლიერება, იმის უზრუნველყოფა, რომ რკინიგზების მთელი მეურნეობის ტექნიკური დონე შეესაბამებოდეს ახალი ლოკომოტივების საექსპლოატაციო შესაძლებლობებს, რისთვისაც უნდა მოხდეს მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია, ფართოდ გამოყენებულ იქნას მატარებელთა მიმოსვლის მართვაში ავტომატიზაცია, განვითარდეს კვანძები და სადგურები, დაჩქარდეს რკინიგზის ლიანდაგის რეკონსტრუქცია; წყლის ტრანსპორტზე — გემების მშენებლობის ვადებისა და ღირებულების შემცირება, წყალქვეშფრთებიანი თბომავლების დანერგვა, ნავსადგურების გამტარუნარიანობის გაფართოება და ნავიგაციის ვადების გახანგრძლივება; საავტომობილო ტრანსპორტზე — წვრილ საავტომობილო მეურნეობათა ლიკვიდაციის დამთავრება და მანქანების პარკის თავმოყრა სამეურნეო ანგარიშზე მყოფ მსხვილ ავტობაზებში, საგზაო მშენებლობის გაძლიერება. მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაცია.

წინადადება მიეცეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და შესაბამის სახალხო მეურნეობის საბჭოებს უზრუნველყონ, რომ უთუოდ შესრულდეს ახალ სახეობათა ლოკომოტივების, მოძრავი შემადგენლობის, საზღვაო და სამდინარო გემების, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებების, ტრანსპორტის ტექნიკური რეკონსტრუქციისათვის საჭირო მოწყობილობისა და მასალების, აგრეთვე მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობისათვის სპეციალიზებული ავტომობილებისა და მისაბმელების მიწოდების გეგმები.

ტრანსპორტის მუშაკებმა ყველაზე სრულად და ეფექტიანად უნდა გამოიყენონ ახალი ტექნიკა. გაუმჯობესონ საექსპლოატაციო შუშაობის ფორმები და მეთოდები, გაადიდონ მატარებლების, გემებისა და ავტომობილების მიმოსვლის სიჩქარე და აამაღლონ მისი უსაშიროობა, გაუმჯობესონ მგზავრთა მომსახურების კულტურა, უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების ზრდის უფრო მაღალი ტემპები და ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირება.

რადგან დიდი ეკონომიური ეფექტი აქვს დაგრძელებული წევის უბნებზე ელმავალთა და თბომავალთა მუშაობას, რომლებსაც ლოკომოტივთა ბრიგადების ცვლები ჰყავთ, დაეკალოს სსრ კავშირის გზათა სამინისტროს და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით შეიმუშაონ და დაამტკიცონ დაგრძელებული წევის უბნებისა და სალოკომოტივო დეპოების განლაგების სქემა რკინიგზების მთელი ქსელისათვის. ამასთან დაკავშირებით გადაიჭრას მთელ რიგ სალოკომოტივო დეპოებში ახალ წარმოებათა ორგანიზაციის საკითხები.

რადგან რკინიგზის ზოგიერთი მაგისტრალის ტვირთდაძაბულობა გაიზარდა, საჭიროდ ჩაითვალოს არსებული ქსელის ტექნიკურ რეკონსტრუქციასთან ერთად რკინიგზის ახალი ხაზების მშენებლობის დაჩქარება. დაეკალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომსაბჭოს, გზათა სამინისტროს და სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ახალი პერსპექტიული გეგმის შემუშავების დროს გაითვალისწინონ რკინიგზის ტრანსპორტის წინმსწრები განვითარება ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ეკონომიურ-გეოგრაფიულ რაიონებში.

დაეკალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და მოკავშირე რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოებს განახორციელონ ღონისძიებანი, რათა გაძლიერდეს რადიორელეური ხაზებისა და კაბელის მაგისტრალების მშენებლობა და დაჩქარდეს მუშაობა ქალაქებისა და სოფლების ტელეფონიზაციისა და რადიოფიკაციისათვის.

9. რადგან სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის საჭიროა უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტების მომზადების შემდგომი გაფართოება, ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურ საბჭოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ გაუმჯობესდეს ახალი ტექნიკის დარგებისათვის და უწინარეს ყოვლისა წარმოების მექანიზაციის, ავტომატიზაციის და ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალისტების მომზადების ხარისხი და გადიდდეს მათი გამოშვება.

ტექნიკური პროგრესის დაჩქარების აუცილებელი პირობაა კვალიფიციური მუშათა კადრების პროფესიული მომზადების გაუმჯობესება, მშრომელთა საწარმოო კვალიფიკაციისა და ზოგადი განათლების დონის შემდგომი ამაღლება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტსა და სახალხო მეურნეობის საბჭოებს გაუმჯობესონ მუშათა კადრების პროფესიულ-ტექნიკური სწავლების ხელმძღვანელობა, გააფართოონ საწარმოებში, ტრანსპორტზე და სამშენებლო ორგანიზაციებში საღამოს (ცვლების) პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელი, რომლებშიც მუშებს შეეძლებათ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მიიღონ პროფესიულ-ტექნიკური განათლება.

10. სახალხო მეურნეობაში სპეციალიზაციისა და კოოპერირების შემდგომი განვითარების ძირითად დაეკალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომსაბჭოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს [illegible] შექმნან ცენტრში, ურალში, შუა ვოლგაში, [illegible] ქვეყნის სხვა დიდ ეკონომიურ-[illegible] ეკონომიური [illegible] სადარგთაშორისო [illegible] [illegible] [illegible]

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის

ამხანაგ ა. ნ. კოსიგინის სიტყვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1960 წლის 15 ივლისს

ამხანაგებო! პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს პლენუმი მიძღვნილია ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ღირსშესანიშნავ პერიოდში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი თავისი შემოქმედებითი შრომით ახორციელებს შვიდწლიანი გეგმის გრანდიოზულ ამოცანებს, რომლებიც დასახა პარტიის XXI ყრილობამ.

საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს საქმიანობას კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად შთაგონებს და წარმართავს საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტია. ჩვენი პარტია მონოლითური, ერთიანია, უმაგალითოდ დარაზმულია თავისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო და მიზანსწრაფულად წყვეტს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებლობის ამოცანებს. მსოფლიოში არ მოიპოვება ისეთი ძალა, რომ შეეძლოს შეაფერხოს ძლეულმოსილი წინსვლა საბჭოთა ხალხისა, რომელიც დიადი ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მიდის კომუნიზმისაკენ.

მრეწველობის განვითარებისა და სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვის საკითხთა განხილვას ამ პლენუმზე განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის. ეს ახალი უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომლებიც დგას ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის წინაშე, დაწვრილებით ჩამოაყალიბა ნ. ს. ხრუშჩოვმა კომუნისტური შრომის ბრიგადების მოწინავეთა და დამკვრელთა სრულიად საკავშირო თათბირზე კრემლში და თავის მთელ რიგ სხვა გამოსვლებში.

პლენუმის მონაწილეებმა დიდი უურადღებით მოისმინეს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. გერასიმოვის, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. სერნინის, ლატვიის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გაილეს, კრასნოიარსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ლომაკოს, კემეროვოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გრაფოვის, ყარაგანდის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ბრატჩენკოს, მინისტრთა საბჭოს ავტომაბილიზაციის და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. კოსტოუსოგოლა და უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ელექტროშედუღების ინსტიტუტის დირექტორის ამხ. პატონის შინაარსიანი მოხსენებანი.

ამ მოხსენებებსა და პარტიული და საბეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა, მეცნიერთა და წარმოების ნოვატორთა გამოსვლებში თვალსაჩინოდ ნაჩვენებია დიდი წარმატებანი, რომლებსაც ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია სახალხო მეურნეობის განვითარებაში. ამ წარმატებებში ასახულია საბჭოთა ხალხისა და ჩვენი პარტიის დაუშრეტელი შემოქმედებითი ძალა.

კონკრეტული მაგალითებით ნაჩვენებია, თუ რა უდიდესი მუშაობა გასწიეს პარტიულმა ორგანიზაციებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა, წარმოების ნოვატორებმა იქ გრანდიოზული ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც პარტიის XXI ყრილობამ დასახა. ფართოდ განვითარდა შეჯიბრება კომუნისტური შრომის დამკვრელის, ბრიგადის, კოლექტივის წოდებისათვის.

ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვმა თქვა, რომ ახლა მარქსიზმ-ლენინიზმი მარტო თეორია როდია. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები უკვე პრაქტიკულად წარმატებით ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში, ხოლო ციელდება ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანაში.

ჩვენი პარტია, საბჭოთა ხალხი წყვეტენ ისეთ ამოცანებს, რომლებზეც კაცობრიობას წინათ მხოლოდ ოცნება თუ შეეძლო. შვიდ წელიწადში ჩვენ ახლა ვწყვეტთ ისეთ ამოცანებს, რომელთა განხორციელებასაც წინათ მრავალი ათეული წელი დასჭირდებოდა.

ეს თვალსაჩინოდ შეიძლება ცხადყოთ შემდეგი მაგალითებით.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს აღწერის მონაცემებით, სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების მთელი ძირითადი ფონდები 1960 წლის 1 იანვრისათვის თანამედროვე ფასებში შეადგენენ ორ ტრილიონ ოთხას მილიარდ მანეთზე მეტს. ყოველივე ეს დაგროვდა ჩვენს ქვეყანაში რუსეთის არსებობის დროს წარსულში და საბჭოთა ხელისუფლების 42 წლის განმავლობაში.

ამიტომ ჩვენს წინაშე დასახულია ამოცანა მარტო 1960-დან 1965 წლამდე გავორკეცოთ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდები. ეს იმას ნიშნავს, რომ შვიდწლედში ჩვენ იმდენსავე შევქმნით, რამდენიც შექმნილა ჩვენი ქვეყნის მთელი ისტორიის მანძილზე. **(ხანგრძლივი ტაში).**

კაპიტალისტურ სამყაროში ასეთი ამოცანას ვერც ერთი ქვეყანა ვერ დაისახავს.

თუ ახლა საბჭოთა კავშირი მსოფლიოს ძლიერი ქვეყანაა, შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორი იქნება მისი ძალა და სიმძლავრე როცა შვიდწლედის დამლევისათვის საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ერთნორად გადიდდება.

მეორე მაგალითი. სსრ კავშირის ეროვნული შემოსავალი შვიდწლედის დამლევისათვის 62-65 პროცენტით იზრდება 1958 წელთან შედარებით და, ამრიგად, თითქმის 6-ჯერ გადააჭარბებს ომამდელი 1940 წლის დონეს. ეროვნული შემოსავლის ზრდის ასეთი ძლიერი ტემპები მიუწვდომელია ყოველი კაპიტალისტური ქვეყნისათვის.

ეროვნული შემოსავლის ზრდა გადიდებს მშრომელთა შემოსავალს და უზრუნველყოფს სახალხო მოხმარების შემდგომ გადიდებას. ეს ყველაზე ნათლად გამოხატავს ჩვენი სახელმწიფოს ზრუნვას ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

პარტიამ დასახა ამოცანა სისტემატიურად ავამაღლოთ მოსახლეობის ცხოვრების დონე. ეს ამოცანა წარმატებით წყდება: მაღლდება ხელფასის დონე, მცირდება ფასები, იზრდება მოსახლეობის უზრუნველყოფა ბინებით, და შორს აღარ არის ის დღე, როცა საცხოვრებელი ბინების ეს საეკუნეობრივი პრობლემა მთლიანად გადაიჭრება ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში.

როგორც ცნობილია, 1960 წელს ჩვენს ქვეყანაში მთავრდება მუშებისა და მოსამსახურეების გადაყვანა ექვსი და შვიდი საათის სამუშაო დღეზე. ამასთან მათი ხელფასი არათუ არ მცირდება, არამედ შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველზე განუხრელად გაიზრდება. ჩვენ მსოფლიოში პირველად უკვე წელს შეკუდგებით მუშათა და მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმებას.

შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ ასეთი მაგალითი. როცა ომი დამთავრდა, რა მძიმეული ეპრსპექტივა იყო ჩვენთვის შესაძლებლობა დავწეროდით ამერიკის შეერთებულ შტატებს, მაგალითად, ფოლადის წარმოების მხრივ. ახლა მდგმარეობა შეიცვალა. 1960 წელს ჩვენ გამოვადნობთ 65 მილიონ ტონა ფოლადს, 1961 წელს — 71 მილიონ ტონას, ხოლო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1959 წელს გამოადნეს 85 მილიონამდე ტონა ფოლადი.

თქვენ ხედავთ, რომ ახლა ეს უკვე აღარ არის მორეული პერსპექტივა, და ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენ უახლოეს დროში გადავწყვეტთ ამ ამოცანას და გავუსწრებთ ამერიკის შეერთებულ შტატებს. **(ტაში).**

შვიდწლედის პირველი წლის გეგმის შესრულების შედეგები და ამ დღეებში გამოქვეყნებული მონაცემები შვიდწლედის მეორე წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების შესახებ გვიჩვენებენ, რომ შვიდწლიანი გეგმით დასახული დავალებები არათუ მთლიანად, არამედ უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით საგრძნობი გადაჭარბებითაც სრულდება.

სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მატებამ 1959 წელს 11 პროცენტს გადააჭარბა გეგმით გათვალისწინებული 7,7 პროცენტის ნაცვლად და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 10 პროცენტს აღემატებოდა წლიური გეგმით დასახული 8,1 პროცენტის ნაცვლად.

შვიდწლედის დაწყებიდან წარმოებულია მეტი, ვიდრე გათვალისწინებული იყო საკონტროლო ციფრების განგარიშებებით: ფოლადი — 3,4 მილიონი ტონა, ნაგლინი — 2,6 მილიონი ტონა, ელექტროენერგია — 5 მილიარდი კილოვატ-საათი, ამოღებულია მეტი: ნავთობი — 3 მილიონი ტონა, რკინის მადანი — 4 მილიონი ტონა, მნიშვნელოვნად მეტია წარმოებული მანქანები, ქიმიური და სხვა პროდუქცია.

დიდი მასშტაბებით წარმოებს სამინაო მშენებლობა. საბჭოთა კავშირმა მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა ათას მცხოვრებზე ბინების მშენებლობის მიხედვით.

მიღწეული წარმატებები ახარებს ყველა ჩვენგანს, საბჭოთა ადამიანებს, და მთელ პროგრესულ კაცობრიობას და ქმნის მტკიცე რწმენას, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში კაპიტალიზმთან.

„...ჩვენ შეგვიძლია კმაყოფილი ვიყოთ მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობის შედეგებით, — თქვა კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირზე ნ. ს. ხრუშჩოვმა. — მაგრამ ასეთია კომუნისტების, საბჭოთა ადამიანების ბუნება — ჩვენ არ გვახასიათებს წარმატებებით დატკბობა, რა დიდიც უნდა იყოს ეს წარმატებები". ცხოვრება წინ მიდის, საბჭოთა ადამიანები სულ უფრო მეტ გამოცდილებასა და ცოდნას იძენენ, იარაღდებიან უნარით უკეთ გამოიყენონ არსებული შესაძლებლობანი სოციალისტური წარმოების გაფართოებლად.

ჩვენ ახლა დიდი შესაძლებლობანი გვაქვს. ეს ნათლად ნაჩვენებია მოხსენებებში, აგრეთვე პლენუმის მონაწილეების: კუზნეცკის ქარხნის ფერადლითონგადამამუშავებელი ძალოვანის ძალაკოს ამხ. კარტავიხის, ტრესტ „ჩისტიაკოვანტრაციტის" ლუტუგინის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირის ამხ. კოლჩიკის, ჩვენი მეცნიერების, ამხანაგების პატონის, იოფეს, ხესანიანოვის, ხრისტიანოვიჩის, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და პლენუმის სხვა მოხაზულების გამოსვლებში.

მათი ღრმაშინაარსიანი სიტყვები მოწმობენ დასმული საკითხების დიდ ცოდნას და მიზნად ისახავენ ჩვენი ქვეყნის შემდგომ აღმავლობას, ახალი, უფრო მაღალი ეტაპების აღებას.

ამ გამოსვლებში მკაფიოდ არის ხაზგასმული ჩვენი მიღწევები. ამასთანავე გამოაშკარავებულია ორგანიზაციული საკითხების, დაგეგმვისა და მომარაგების სერიოზული ნაკლოვანებანი და მოცემულია საჭირო ზომები ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მოხსენებებსა და გამოსვლებში პლენუმზე გამოითქვა ბევრი კონკრეტული და ფრიად მნიშვნელოვანი წინადადებანი, ბევრი კრიტიკული შენიშვნა, რომელთა განხორციელება შესაძლებელს გახდის კიდევ უფრო სრულად გამოვიყენოთ სახალხო მეურნეობის რეზერვები გეგმის წარმატებით და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა და მთავრობამ დამავალეს მოგახსენო პლენუმს, რომ გამოსვლებში დასმულ ყველა საკითხს გულმოდგინედ განიხილავენ ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა და ამ საკითხთა გამო მიიღებენ საჭირო გადაწყვეტილებებს შემოტანილ წინადადებათა რაც შეიძლება მალე რეალიზაციისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას სახალხო მეურნეობის შემდგომი სწრაფი განვითარება.

მოკავშირე რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა და მინისტრთა საბჭოებმა, საოლქო კომიტეტებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, ცენტრალურმა უწყებებმა და დაწესებულებებმა უნდა განიხილონ მათ წინაშე დასმული საკითხები და აგრეთვე განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი.

პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა დიდი ორგანიზატორული მუშაობა უნდა გაშალონ, რათა კიდევ უფრო აამაღლონ შემოქმედებითი ინიციატივა და პასუხისმგებლობა ტექნიკური პროგრესის შემდგომი განვითარებისათვის, მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობაში მაღალ მაჩვენებელთა მიღწევისათვის, შვიდწლიანი გეგმის ამოცანების ვადამდე შესრულებისათვის. უნდა ავამოქმედოთ მთელი რეზერვები და გამოვიყენოთ მთელი შესაძლებლობანი, რომლებიც ჩვენს ეკონომიკას მოეპოვება.

დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდება ახალი ტექნიკის დანერგვის საფუძველზე იმ მიზნით, რომ უზრუნველყოთ სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობა და შევქმნათ ბაზა სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემდგომი შემოკლებისა და ხალხის ცხოვრების მატერიალური დონის ამაღლებისათვის.

საჭიროა მეტი უურადღება დაკუთვნილ მოსახლეობისათვის საჭონლის წარმოების საკითხებს, რათა უმოკლეს ვადაში მიგაღწიოთ მსოფლიოში ყველაზე დიდ სულობრივ მოხმარებას.

საჭიროა მიგაღწიოთ ტექნიკურად ყველაზე მოწინავე პროდუქციის გამოშვებას, საჭიროა, რომ ყოველი ახალი სერიის ჩარხები, აგრეგატები და მანქანები წარმადობით არ ჩამორჩებოდეს კაპიტალისტურ ქვეყნებში გამოშვებულ ყველაზე მოწინავე ნიმუშთა მანქანებს. მოსახლეობისათვის მისაყიდად გამოშვებული პროდუქცია კოხტად, ლამაზად უნდა იყოს გაფორმებული და საესებით აკმაყოფილებდეს მომხმარებელთა მოთხოვნილებებს.

ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირება, როგორც მთელი სახალხო მეურნეობის აღმავლობის მთავარი რეზერვი. თვითღირებულების შემცირების საკითხი ყველა საწარმოს ხელმძღვანელთა ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

ჩვენ ყოველი ღონე უნდა გიხმაროთ, რათა უკეთესი საყოფაცხოვრებო პირობები უზრუნველვყოთ ჩვენი შესანიშნავი მუშათა კლასისათვის, გლეხობისათვის, ინტელიგენციისათვის, მთელი საბჭოთა ხალხისათვის; გავაუმჯობესოთ ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, მოსახლეობის კულტურული მომსახურება.

საბჭოთა ადამიანის მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილება უნდა გახდეს ყველა პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოს მუდმივი ზრუნვის საგანი.

ჩვენ ახლა გვაქვს ყველაფერი, რაც საჭიროა ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადასაწყვეტად.

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს პლენუმი ჩვენი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენაა.

ცნობილია, რომ ჩვენი პარტია განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა ტექნიკურ პროგრესს სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე. ამჟამად განუხრელი ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის მნიშვნელობა ბევრად იზრდება და არსებითად დღეს უნიშვნელოვანესი რგოლია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს არაერთხელ აღუნიშნავს თავის გამოსვლებში, რომ კომუნიზმის მოახლოების კვალობაზე ყოველმხრივი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან კომუნიზმი შეიძლება ეყრდნობოდეს მეცნიერებისა და ტექნიკის მხოლოდ ყველაზე თანამედროვე მოწინავე მიღწევებს. და შემთხვევითი როდია, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი რეგულარულად განიხილავს პლენუმებზე ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის შემდგომი გაძლიერების საკითხებს.

მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარება ამ უკანასკნელ წლებში, მეურნეობის სოციალისტური სისტემის დაუშრეტელი შესაძლებლობანი და დიდი უპირატესობანი საჭირო პირობებს ქმნიან ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების ყოველმხრივი განვითარებისათვის.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად და განუხრელად იბრძვიან სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

ხალხთა შორის მეგობრობისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფის მშვიდობისმოყვარეულა საგარეო პოლიტიკამ, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ, მთელი პროგრესული კაცობრობის, დედამიწის ყველა უბრალო ადამიანის აღიარება და სიმპათიები მოიპოვა.

ჩვენი სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკა ობიექტურად ასახავს სოციალისტური წყობილების არსს, რომელსაც საფუძვლად უდევს მისწრაფება შექმნას ნათელი მომავალი მთელი კაცობრობისათვის.

სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და ხალხთა მეგობრობისათვის ბრძოლის კეთილშობილურ საქმეში დიდი დამსახურება ეკუთვნის მშვიდობისათვის დაუცხრომელ მებრძოლ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამერიკელ მონოპოლისტთა გარკვეულ წრეებს ეშინიათ მშვიდობისა, მათ სურთ, რომ დაძაბულობა გაგრძელდეს და გაძლიერდეს. ეს საშუალებას აძლევს მათ უდიდესი მოგება მიიღონ გამალებული შეიარაღებით. ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები და მთავრობა დაადგნენ ომის საფრთხის გაძლიერებისაკენ მიმართული ბოროტგანზრახული პროვოკაციებისა და ვერაგობის გზას.

ამერიკელ მონოპოლისტთა აგრესიულ ავანტიურისტულ პოლიტიკას საფუძვლად უდევს თავისი ძალებისადმი ერწყნობა, ბიში, რომ მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში ისინი ვერ გაუძლებენ მსოფლიო სოციალისტური ეკონომიკის სწრაფ განვითარებას.

საბჭოთა კავშირი და მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ქვეყნები განურჩევლად ვერ მოეკიდებიან ამ პროვოკაციებს.

მსოფლიოს ყველა სალად მოაზროვნე ადამიანს კარგად ესმის, რომ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა საბჭოთა სახელმწიფოს სისუსტეს როდი მოწმობს. ახლა უკვე ყველამ იცის, რომ საბჭოთა ხალხს ძალუძს ალაგმოს ყოველი აგრესორი.

ამხანაგებო! ჩვენ შესანიშნავ დროში ვცხოვრობთ. ჩვენი ქვეყანა ძალღონით აღსავსეა და თავის განვითარებაში განუხრელად მიდის წინ. კიდევ უფრო დიდებული პერსპექტივები ისახება საბჭოთა ხალხის წინაშე სახალხო მეურნეობის განვითარების 20 წლის პერსპექტიულ გეგმაში — კომუნისტური საზოგადოების აშენების გეგმაში, რომლის შემუშავება მიმდინარეობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გრანდიოზული ამოცანები, რომლებიც დასახულია ჩვენი პარტიის XXI ყრილობის მიერ, ვადამდე შესრულდება. ამის თავდებია ჩვენი დიადი კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც სათავეში უდგას მუშათა კლასის საქმისათვის, კომუნიზმის საქმისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა კავშირის დახმარება კონგოს რესპუბლიკას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის აღმატებულებას კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ბ-ნ ღუმუმბას

საბჭოთა მთავრობამ შეიტყო კონგოს რესპუბლიკის მოსახლეობის სურსათით მომარაგების მძიმე მდგომარეობა, რაც კონგოს წინააღმდეგ დაწყებულმა იმპერიალისტურმა აგრესიამ გამოიწვია. ჩვენთვის გასაგებია ეს სიძნელენი, რადგან საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ წლებში თვითონ განვიცადეთ ეს. ხელმძღვანელობს რა საბჭოთა ხალხის მეგობრული ძმური გრძნობებით კონგოს ხალხისადმი, რომელიც გმირულად იცავს თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა დაუყოვნებლივ გაუწიოს კონგოს რესპუბლიკას სურსათით დახმარება და ეს აცნობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. გამოგზავნილი სურსათი 10 ათასი ტონა საერთო რაოდენობით შეიცავს ათას ტონა შაქარს, 300 ათას ჭილა რძის კონსერვს, დანარჩენი ხორბალია.

შესაბამისი პროდუქტები სასწრაფო წესით გამოიგზავნება თვითმფრინავებით, აგრეთვე სპეციალური საბჭოთა გემის საშუალებით.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ამ დახმარებით გამოხატავს თავის სიმპათიას კონგოს ხალხისა და მისი კანონიერი მთავრობისადმი და ამავე დროს გამოხატავს მის გადაწყვეტილებას ხელი შეუწყოს სამართლიანი საქმის გამარჯვებას, რისთვისაც იბრძვის კონგოს რესპუბლიკა, იცავს რა თავის დამოუკიდებლობას.

ნ. ხრუშჩოვი,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

მოსკოვი, კრემლი, 1960 წლის 16 ივლისი.

საბჭოთა მთავრობის ნოტა

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი

15 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების დროებითი საქმეთა რწმუნებული მოსკოვში ბ-ნი ე. ლ. ფრიერსი და გადასცა მას საბჭოთა მთავრობის საპასუხო ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ნოტაზე „რბ-47" სამხედრო თვითმფრინავის მიერ 1 ივლისს სსრ კავშირის საჰაერო სივრცის დარღვევის შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პასუხი, ნათქვამია საბჭოთა ნოტაში, მოწმობს, რომ იგი კვლავ ცდილობს გაამართლოს და მონაგორითა და ფაქტების თვითნებური უარყოფით დაფაროს უკანონო, აგრესიული მოქმედება თავისი სამხედრო ავიაციისა, რომელიც ახორციელებს საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში შემოჭრას.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის საპასუხო ნოტაში გამოთქმულ იმ ცდას, რომ საზღვრის დარღვევი ჩამოგდებული თვითმფრინავის ფრენის მოტივები ახსნან „ელექტრომაგნიტურ მოვლენათა შესწავლის" დავალებით, ასეთი ახსნა, როგორც საბჭოთა ნოტაში ხაზგასმულია, ორიგინალობით არ გამოირჩევა. იგი თითქმის მთლიანად იმეორებს ხერხს, რომელის საშუალებითაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ცდილობდა პირველად თავგზა აებნია მსოფლიო საზოგადოებრივი აზრისათვის, მათ შორის საკუთარი ხალხისათვის, მას შემდეგ, რაც „უ-2" ჯაშუშური თვითმფრინავი ამა წლის 1 მაისს შემოიჭრა სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში.

სსრ კავშირის მთავრობა კატეგორიულად უარყოფს, როგორც ყოვლად უსაფუძვლოს, პროტესტს, რომელსაც შეიცავს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ამა წლის 13 ივლისის ნოტა, და კვლავ ადასტურებს თავის 11 ივლისის ნოტას და იქ გამოთქმულ მტკიცე პროტესტს ამერიკის სამხედრო თვითმფრინავის ჭიერ საბჭოთა საზღვრის ახალი უხეში დარღვევის წინააღმდეგ, რაც 1 ივლისს მოხდა.

ნოტის დასასრულს ნათქვამია, რომ საბჭოთა მთავრობა იზრუნებს, რათა უზრუნველყოს საბჭოთა კავშირის ხალხთა უშიშროება ყველა იმ საშუალებით, რომლებიც მის განკარგულებაშია.

(საკდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

რადიოგადამცემ მოწყობილობათა უკანონო დამზადებისა და გამოყენებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. სათანადო ნებართვის უქონლად რადიოგადამცემ მოწყობილობათა დადგმა, დამზადება ან დამოყენება გამოიწვევს საზოგადოებრივი ზომქმედების ზომების მიღებას ან ადმინისტრაციულ ზემქმედებას ჯარიმის სახით ხუთასი მანეთის ოდენობით და რადიოგადამცემ მოწყობილობათა კონფისკაციას.

სათანადო ნებართვის უქონლად რადიოგადამცემ მოწყობილობათა განმეორებით დადგმა, დამზადება ან გამოყენება, რაც ჩადენილია ზემქმედების აღნიშნული ზომების შეფარდების შემდეგ, გამოიწვევს დამნაშავე პირების დაჯარიმებას სამმაგი ოდენობით.

2. მასალებს რადიოგადამცემ მოწყობილობათა უკანონო დადგმისა, დამზადებისა ან გამოყენების შესახებ განიხილავს სახალხო მოსამართლე ერთპიროვნულად მილიციის ორგანიზებიდან სასამართლოში მათი მიღების სამი დღის განმავლობაში, დამრღვევი პირის, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში აგრეთვე მოწმეთა გამოძახებით.

სახალხო მოსამართლის დადგენილება დაჯარიმების შესახებ შესრულებულ უნდა იქნას დაუყოვნებლივ და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

3. სახალხო მოსამართლის დადგენილება რადიოგადამცემ მოწყობილობათა უკანონო დადგმისა, დამზადებისა ან გამოყენებისათვის პასუხისგებაში მიცემის შესახებ შეიძლება გაუქმოს ან შეცვალოს პროკურორის პროტესტით თვით სახალხო მოსამართლემ, აგრეთვე შესაბამისი ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარემ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წლის 16 ივლისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საშენი მასალების უკანონო შეძენისათვის პასუხისმგებლობის შესახებ

ინდივიდუალური სახლთა მშენებლობისათვის საშენი მასალების შეძენაში წესრიგის დამყარების მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს, რომ ინდივიდუალური სახლთა მშენებლობისათვის საშენი მასალების შეძენის წესის დამრღვევი დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ვადით ან გამასწორებელი მუშაობით ერთ წლამდე ვადით, ამასთან ჩამორთმევა საშენი მასალები ან ის შენობა, რომელზედაც ეს მასალები იყო გამოყენებული.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაამტკიცოს დებულება ინდივიდუალური სახლთა მშენებლობის შესახებ და დადგინოს საშენი მასალების შეძენის წესი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1960 წლის 16 ივლისი.

დიდი შრომითი გამარჯვება

საქართველოს კომპარტიის გეგეჭკორის რაიკომის
მდივანს ამხანაგ კ. დ. ხუგულავას

გეგეჭკორის რაიალმასკომის თავმჯდომარეს
ამხანაგ ე. შ. ბართაიას

საქართველოს ალკკ გეგეჭკორის რაიკომის მდივანს
ამხანაგ ტ. ა. დგებუაძეს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავთ დიდ შრომით წარმატებებს — სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის შესრულებას 100,5 პროცენტით, კვერცხისა — 104,5 პროცენტით, პირველი გამოკვების ბატისა — 100 პროცენტით, დაფნის ფოთლისა — 128 პროცენტით, კუკოვანი ხილისა — 140 პროცენტით, რძის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმის შესრულებას 128 პროცენტით. სახელმწიფოს მიეყიდა 100 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

წარმატებანი, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში მოიპოვეთ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, მიღწეულია კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა თავდადებული შრომის, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების ორგანიზატორული მუშაობის, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ბეჯითი მუშაობის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომი ეკონომიური განმტკიცების შედეგად.

ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის საქმეში განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს სოფელ ხუნწის (თავმჯდომარე ნიკოლოზ გრიგოლის-ძე ჩიქოვანი), ლეხაინდრაოს (თავმჯდომარე გიორგი იასონის-ძე ახალაია), სალხინოს (თავმჯდომარე ვალერიან თევდორესძე თოდუა) და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სრულ რწმენას გამოთქვამენ, რომ სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ხორცის, რძის, კვერცხისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის, აგრეთვე მათი თვითღირებულების შემცირების დიდი ვალდებულებანი, რომლებიც თქვენ იკისრეთ 1960 წლისათვის, წარმატებით იქნება შესრულებული.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ცეცხლის პირისპირ

17 ივლისი მეგაღურგის დღეა

დღეს, შუაფს ისკრის გამდნარი ლითონი, ახლად ჩატვირთული ღუმელებიდან დროდადრო შიშინით გამოიკრება ცეცხლის ალი.

ლანდაგებზე დაგორავენ ჩამტვირთავი მანქანები, მძლავრი ხიდური ამწეები გრუხუნით მიაქანებენ ფოლადით სავსე 150-ტონიან ციცხვებს. ერთი წუთითაც არ წყდება ლითონის ჟღარუნი, ღუმელების გუგუნი და ცეცხლის ტკაცანი. ად

საერთაშორისო ცხოვრება
დეკადური, ცნობები, მიმოხილვა

აგრესორები არ ცხრებიან

ბრიუსელი, 15 ივლისი. (საკდესი). ბელგიის ხელისუფალნი განაგრძობენ აგრესიულ მოქმედებას კონგოს ახალგაზრდა რესპუბლიკის წინააღმდეგ. გუშინ კონგოში გაიგზავნა კიდევ რამდენიმე ასეული ჯარისკაცები; ახლა ასეულთა რიცხვი აღწევს 23-ს. კონგოში ბელგიის ჯარების გაგზავნა გრძელდება.

საგარეო საქმეთა მინისტრი ვინნი გუშინ გამოვიდა წარმომადგენელთა პალატაში კონგოს ამბების საკითხზე და ცდილობდა დამტკიცებინა, რომ ბელგიის შეიარაღებული ინტერვენცია კონგოში „ისახავს ერთადერთ მიზანს — დაიცვას ბელგიის მოსახლეობის უშიშროება". ვინნი ცდილობდა დაერწმუნებინა პალატის წევრები, რომ ბელგიის ჩარევას კანონიერი ხასიათი აქვს, ამასთან იმოწმებდა ხელშეკრულებას, რომელიც ამ წლის 29 ივნისს დაიდო კონგოსა და ბელგიას შორის.

მაგრამ საკმარისია გადავხედოთ ხელშეკრულებას, რათა დავრწმუნდეთ ასეთი მტკიცების სისულელეში. ხელშეკრულების მე-6 მუხლში ნათქვამია: „კონგოს სამხედრო ბაზებში მყოფი ბელგიის შეიარაღებული ძალების ყოველგვარი სამხედრო ჩარევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ კონგოს ეროვნული თავდაცვის მინისტრის თხოვნით".

ბელგიის ჯარების შეყვანა მოხდა ისე, რომ გვერდი აუარეს სახელმწიფოს მეთაურსა და მთავრობის მეთაურს, რომელიც ამავე დროს კონგოს თავდაცვის მინისტრია.

ვინნიმ თავის გამოსვლაში შემდეგ ცინიკურად განაცხადა, რომ ბელგიის მთავრობა ვერ დაეთანხმება პრეზიდენტ კასავუბუს მოთხოვნას კონგოდან ბელგიის ჯარების გაყვანის შესახებ.

ბრიუსელსა და ბელგიის სხვა ქალაქებში ფაშისტმა არამზადებმა გააჩაღეს საზიზღარი კამპანია ბელგიაში მცხოვრებ კონგოელთა წინააღმდეგ. აღნიშნულია კონგოელთა ცემის, აბუჩად აგდებისა და შეურაცხყოფის მრავალი ფაქტი.

პატრის ლუმუმბას განცხადება

პარიზი, 16 ივლისი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება:

გამოვიდა რა კონგოს პარლამენტში, პრემიერ-მინისტრმა პატრის ლუმუმბამ მოითხოვა ბელგიის ჯარების გაყვანა კონგოდან 12 საათის განმავლობაში და ბელგიის ჯარისკაცების წასვლა ლეოპოლდვილიდან და აეროდრომიდან უახლოესი ექვსი საათის განმავლობაში.

ლუმუმბამ დაგმო შეერთებული შტატები იმისათვის, რომ მათ მხარი დაუჭირეს ბელგიას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესახებ, რომლებმაც გუშინ იწყეს ჩამოსვლა ლეოპოლდვილში. ლუმუმბამ თქვა, რომ ეს ჯარები კონგოში დარჩებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი აქ ყოფნა შეესაბამება კონგოს და არა ბელგიის ინტერესებს.

დამოუკიდებელი ხდება გაგონი

პარიზი, 16 ივლისი. (საკდესი). კიდევ ერთმა სახელმწიფომ გაბონმა, რომელიც წინათ საფრანგეთის ეკვატორიული აფრიკის შემადგენლობაში შედიოდა, დადო გუშინ საფრანგეთთან შეთანხმება იმის შესახებ, რომ გაბონის ხელისუფლებს გადაეცეს ფუნქციები და რწმუნებანი, რომლებიც წინათ საფრანგეთის გაერთიანების ორგანოების, ესე იგი საფრანგეთის ხელისუფალთა განმგებლობაში იყო. ამ შეთანხმებების საფუძველზე გაბონს ეძლევა დამოუკიდებლობა. პარაფირებულია აგრეთვე შეთანხმებანი თანამშრომლობის შესახებ, რომლებიც განსაზღვრავენ გაბონის დამოკიდებულებას საფრანგეთის გაერთიანების სხვა წევრებთან და საფრანგეთთან. ეს ურთიერთობა ამიერიდან არის არა კონსტიტუციური, არამედ სახელშეკრულებო.

კონგოელთა დასახმარებლად

ჯაკარტა, 15 ივლისი. (საკდესი). რადიოს ცნობით, საგარეო საქმეთა მინისტრმა სუბანდრიომ განაცხადა, რომ ინდონეზია მზად არის დახმარება გაუწიოს კონგოს, თუ ეს ქვეყანა სთხოვს დახმარებას. მინისტრმა დასძინა, რომ, თუმცა ინდონეზია ამჟამად საკუთარ სიძნელეებს განიცდის, იგი მაინც არ გაუშვებს არც ერთ შემთხვევას ყოველგვარი შესაძლო დახმარება გაუწიოს აფრიკის იმ ქვეყნების მეგობრობისათვის, რომლებმაც ამას წინათ მიიღეს დამოუკიდებლობა, მათი პროგრესისათვის.

ადის-აბება, 15 ივლისი. (საკდესი). როგორც დღეს ადგილობრივი პრესა იუწყება, ეთიოპიის იმპერატორმა ჰაილე სელასიე I კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ პატრის ლუმუმბას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია, რომ ეთიოპია მზად არის დახმარება გაუწიოს კონგოს მშვიდობის აღდგენის საქმეში.

ახალი პროვოკაციები კუბის წინააღმდეგ

ჰავანა, 15 ივლისი, (საკდესი). გაზეთ „რევოლუსიონის" კორესპონდენტი ქალაქ სანტ-იაგო-დე-კუბიდან იუწყება ამერიკის სამხედრო წრეების ახალი პროვოკაციების შესახებ. 14 ივლისს ამერიკის სამი სამხედრო ხომალდი კრეისერობდა კუბის სამხრეთ ნაპირებთან ორიენტეს პროვინციის რაიონში. ერთ-ერთი მათგანი შეიჭრა ტერიტორიულ წყლებში და კუბის ნაპირების უშუალო სიახლოვეს დაიწყო ქვემეხების „სასწავლო სროლა".

ამერიკის ახალ პროვოკაციასთან დაკავშირებით ორიენტეს პროვინციის რევოლუციური არმიის სარდალმა კალიქსტო გარსიამ განაცხადა: „ჩვენ არ დავკარგავთ სიმშვიდეს ამ პროვოკაციების წინაშე, ჩვენ ვერ შეგვაშინებს ქვემეხების სროლა, ეს ახალი დადასტურებაა შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედებისა კუბის წინააღმდეგ."

დიდი ფეხბურთის გზებზე

ლილაადრიან 29 ივნისს საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების მთელი შემადგენლობა ვნუკოვოს აეროდრომზე ვიყავით. მრავალმა ნაცნობმა და ფეხბურთის გულშემატკივარმა მოიყარა თავი ჩვენს გასაცილებლად. ისინი გვეხვეოდნენ, გვემშვიდობებოდნენ და გამარჯვებას გვიწინასწარმეტყველებდნენ. თვითმფრინავმა მიმართულება ბრიუსელისაკენ აიღო. „ტუ 104-ის" სარკმლებიდან ჩანდა გამეცილებელთა ხელების ტყე...

რამდენიმე საათში ბელგიის დედაქალაქის აეროდრომზე ვიყავით. აქედან ჩვენს გუნდს მომსახურებას გაუწევდა ბელგიის საავიაციო კომპანია „საბენა" თვითმფრინავი. თვითმფრინავმა გადასერა ბელგია-საფრანგეთის სახელმწიფო საზღვარი და საწვავის მისაღებად ორლის აეროდრომზე დაეშვა. შემდეგ კი კეისი მარსელისაკენ აიღო. მოსკოვიდან რამდენიმე საათის ფრენის შემდეგ მარსელში ვიყავით. აი სწორედ აქ, მარსელში, უნდა შევხვედროდით ნახევარფინალურ მატჩში ჩეხოსლოვაკის ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებ გუნდს.

მარსელის აეროდრომზე, ისევე როგორც ბრიუსელსა და პარიზში, მრავალ კორესპონდენტს, ფოტორეპორტიორსა და სპორტულ საზოგადოებათა წარმომადგენლებს მოეყარათ თავი. მათთვის უკვე ცნობილი იყო ჩვენი გუნდის შემადგენლობა. ისინი ჩვენს ფეხბურთელებს ავტოგრაფებს სთხოვდნენ, აჩხაკუნებდნენ ფოტოაპარატებს, გაჰყვიროდნენ იგორ ნეტოს, მიშა მესხის, სლავა მეტრეველისა და სხვათა სახელებს.

ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგური მარსელი ჰავით საქართველოს ზღვისპირეთს მოგვაგონებს. აქ თავს იყრის მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის საოკეანო გემები. ამ ქალაქში თითქმის ყველა ეროვნების ადამიანს შეხვდებით. არ შეიძლება თვალში არ მოგხვდეთ ადგილობრივ მკვიდრთა გულღიობა. მარსელი განთქმულია უსაქმურთა სიმრავლითა და მის მკვიდრთა ჭკუამახვილური ხუმრობით. ლუდხანებში, ბაღებში, რესტორნებში უმრავი ხალხი იყრის თავს.

მარსელისაც აქვს თავისი ფუნიკულორი. იქიდან ხელისგულივით ჩანს მთელი ქალაქი. ქალაქი ორი ნაწილისაგან შედგება. ძველი და ახალი მარსელი. ძველი უბანი ამფითეატრს მოგაგონებთ, იგი განლაგებულია ძველი ნავსადგურის გარშემო მისი გიორო და ბინძური ქუჩებით, ხოლო ახალი მარსელი ბრწყინავს ბურჟუთა უზარმაზარი სასახლეებით, ვილებით, ფართო და განიერი ქუჩებით. თვალში მოგხვდებათ მწვანე ნარგაევების სიმცირე ქალაქში.

დასვენებისათვის დრო ცოტა გვქონდა. ყველაზე კარგი დასვენება ჩვენთვის იყო ვარჯიში, ვარჯიში და საუბარი მომავალ მატჩზე. ჩვენი გუნდის წევრებს შორის არ იყო არც ერთი, რომელიც გამარჯვების რწმენას არ გამოთქვამდა. თუმცა როგორც ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, ჩვენი მეტოქეები საკმაოდ ძლიერნი იყვნენ. ჩვენ იმთავითვე ვიცოდით, რომ იოლ გამარჯვებას ვერ მოვიპოვებდით.

დასვენების ძვირფას საათებს გვართმევდნენ ფრანგი სპორტისმოყვარულები, რომლებიც მუდამ გარს გვეხვევნენ. ბევრ დროს გვართმევდნენ აგრეთვე გაზეთების კორესპონდენტები. საერთოდ ფრანგული გაზეთები ბევრს წერდნენ როგორც ჩვენს ფეხბურთელებზე, ისე საფრანგეთის, იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებზე. ფეხბურთის ზოგი სპეციალისტი ფრანგებს ანიჭებდა უპირატესობას, ზოგი იუგოსლავებსა და ჩეხებს, ერთი ნაწილი კი საბჭოთა კავშირის ნაკრებს.

ჩვენი ნაკრები ხვდებოდა ჩეხოსლოვაკიის იმ გუნდს, რომელმაც უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატში გამანადგურებელი ანგარიშით (7 : 1) დაამარცხა არგენტინის ეროვნული ნაკრები და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა იმ დროის მსოფლიოს ოფიციალურ ჩემპიონზე — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებზე. ჩეხების სიძლიერეზე აგრეთვე თავისთავად მეტყველებს წლეკნდელ სეზონში რუმინეთის ნაკრებზე ორი გამარჯვება (2 : 0 და 3 : 0) და ავსტრიელების დამარცხება ანგარიშით 4 : 0.

აი ასეთ მრისხანე მოწინააღმდეგეს უნდა შეხვედროდა ჩვენი გუნდი მარსელში 6 ივლისს. საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელებმა კარგად გაითვალისწინეს ჩვენი გუნდის უპირატესობანი მოწინააღმდეგესთან შედარებით. მათი დავალებით თამაში დავიწყეთ მაღალი ტემპით. პირველ წუთებშივე ვალენტინ ივანოვი შეიჭრა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე და გავიდა მეკარის პირისპირ. მეკარე შროიფა თავგანწირული ნახტომით ჩაუვარდა ფეხებში ჩვენს მარჯვენა შუამბრს და იხსნა კარი აშკარა გოლისაგან. მაგრამ არ გასულა ერთი წუთი, და ივანოვ მომენტი გამეორდა ჩვენს კართან. ამჯერად ლევ იაშინმა იხსნა კარი ბუერთისაგან.

ჩეხოსლოვაკიის გუნდი თამაშობდა მოკლე გადაცემებით. მოწინააღმდეგის გუნდს მალე ამჟავა დაღლა დაეტყო. ტაიმის დასასრულს ჩვენი ფეხბურთელები მთლიანად გახდნენ მოგზის ბატონ-პატრონნი. ჩვენი ბიჭები გრძელ გადაცემებზე და სწრაფად თამაშობდნენ, რაც უკვე გადაწყვიტა თამაშის ბედი. მიშა მესხი და სლავა მეტრეველი აიძულებდნენ მოწინააღმდეგის დაცვას ბურთი უმისამართოდ მოეგერიებინა, რასაც კარგად იყენებდნენ იური ვოინოვი და იგორ ნეტო.

ამოიწურა ორი ტაიმი. ჩვენმა გუნდმა მიაღწია ბრწყინვალე გამარჯვებას. საბჭოთა ფეხბურთელებს მთელი სტადიონი ოვაციებით მიაცილებდა. გამარჯვება მოგვლოცეს ჩვენმა მოწინააღმდეგეებმაც. ფრანგული გაზეთის „ეკიპის" ცნობილმა ფეხბურთის მომოზილველმა განაცხადა: „1938 წელს მარსელში გაიმართა იტალიისა და ბრაზილიის გუნდების შეხვედრა, რომელიც დღემდე არ წაშლილა ადგილობრივ მკვიდრთა მეხსიერებაში, მაგრამ უნდა თქვას, რომ ამ თამაშმა უკვე დაჩრდილა დღემდე აქ. ჩატარებული სა-



ტანკერი „პეკინი" განაგრძობს გზას კუბისაკენ

ეს ხმელთაშუა ზღვაში მოხდა...

უდიდესი საბჭოთა ტანკერი „პეკინი" გაემართა კუბისაკენ, რომ იქ ნედლი ნავთობი ჩაეტანა. ნავთობს ელიან ქალაქ სანტიაგო დე კუბის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნები, რომელთა თავზე ამჟამად აღმართულია კუბის რესპუბლიკის ალამი ნაცვლად ჩამოგდებული ამერიკული ალმისა. როგორც ცნობილია, ეს ქარხნები ნაციონალიზებულ იქნა მას შემდეგ, რაც მათმა ყოფილმა მფლობელებმა — ამერიკის შეერთებული შტატების ნავთობის მაგნატებმა უარი თქვეს გადაემუშავებინათ კუბის მიერ სხვა ქვეყნებში ნაყიდი ნავთობი. ამ საბოტაჟით ისინი ცდილობდნენ შეეფერხებინათ კუბის რევოლუციის განვითარება, შეებორკათ ახალგაზრდა რესპუბლიკის ეკონომიკა.

და აი ნავთობი — ნედლეული დამოუკიდებელი კუბის ქარხნებისათვის... აღფრთოვანებით, კუბელ ხალხთან ძმური სოლიდარობის გრძნობით გაემართნენ საბჭოთა მეზღვაურები შორეულ რეისში. რამდენიმე დღის შემდეგ კი ეთერს მოედო საგანგაშო რადიოგრამები. რადიოგრამები იუწყებოდნენ, რომ „პეკინი" დაეჯახა ნორვეგიის ტანკერს, რომელიც უტვირთოდ მიდიოდა. ამერიკისა და ინგლისის დეპეშათა სააგენტოებმა სასწრაფოდ გადასცეს ცნობები, საბჭოთა ტანკერი სერიოზულად არის დაზიანებული. მაგრამ „პეკინი" თავის რეისს განაგრძობს. „კომსომოლსკაია პრავდას" რედაქცია დაუკავშირდა საბჭოთა ტანკერის ეკიპაჟს და სთხოვა ეცნობებინა, როგორ მიმდინარეობს ეს რეისი. აი რადიოგრამა, რომელიც ჩვენმა რედაქციამ გუშინ საღამოს მიიღო:

ტანკერმა „პეკინმა" გამოცდილი კაპიტნის ბორის პიმენის-ძე ოსტაშევსკის სარდლობით რამდენიმე ზღვა გადასერა, გამოიარა მკაცრი შტორმები, გრიგალები, მისი საუცხოო საზღვაოსნო თვისებები ყველგან აღტაცებას იწვევს. მიზეზიანი, მკაცრი ლოკმანებიც კი სუეცის არხზე და იაპონიაში, სადაც ორჯერ იყო საბჭოთა ტანკერი, მუდამ მაღალ შეფასებას აძლევდნენ მის მანევრუნარიანობას და მართვადობას.

თვის დამდეგს მორიგ შორეულ რეისში გავედით. 4 ივლისს ღილას „პეკინი" შეხვდა 15 მილზე ბიზერტის ნავსადგურიდან კანი როკის შუქურის ჩრდილოაღმოსავლეთით ხმელთაშუა ზღვის გამოცოცხლებულ უბანზე. ზომიერი ქარი, კაშკაშა სხივები დილის მზისა, რომელიც მოწმენდილ ჰორიზონტზე ამოვიდა და მძლავრი ტალღები გაათბო, თითქოს ცუდს არაფერს გვიქადდა. მაგრამ ზღვა მუდამ მაცდურია თავისი სილამაზით, ხოლო მისი უსაზღვრო სივრცეები ზოგჯერ გადაიქცევა ხოლმე ვიწრო ბილიკად, რომელზეც ორი გემისათვის ძნელია ერთმანეთისათვის გვერდის ავლა.

ამ დილას „პეკინი". ბეკერ გემს შეხვდა. ჩვენ ნორმალურად ვუქცევდით ერთმანეთს გზას არსებული საერთაშორისო წესების სრული შესაბამისობით. მაგრამ დიდი იყო ჩვენი მეზღვაურების განცვიფრება, როდესაც შეამჩნიეს, რომ ნორვეგიის ტანკერი „რონდეფიელი", რომელიც შემხვედრი კურსით მოდიოდა დაახლოებით ორ მილ მანძილზე, აჩქარებდა ...



ამინდი

18 და 19 ივლისს რესპუბლიკაში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა და ელჭექი უმეტესად დასავლეთ საქართველოს სანაპირო რაიონებში და აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში, სუსტი, დასავლეთ საქართველოში ზომიერამდე ქარი.

ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში იქნება ღამით 15-20, დღისით 25-30 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 10-15, დღისით 20-25 გრადუსი. აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში ღამით 14-19, დღისით 24-29 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 14-19, დღისით 18-23 გრადუსი.

გუშინ დღის 1 საათზე ქუთაისსა და თელავში ტემპერატურა იყო 28 გრადუსი, სოხუმში 26, ბორჯომში 25, ბათუმში 24, საგარეჯოში 23, აბასთუმანში 21 გრადუსი. თბილისში ამ დროს იყო 27 გრადუსი.

კიდევ ორი გამარჯვება

ბუშინ კიროვის სახელობის კალათბურთის სტადიონი კვლავ სავსე იყო სპორტის მოყვარულებით. აქ ფრანგმა სპორტსმენებმა გამართეს თავიანთ ტურნეს უკანასკნელი მატჩები. ამჯერად სტუმართა წინააღმდეგ თამაშობდნენ თბილისის ვაჟთა ნაკრები და საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდები.

ქალთა გუნდების ბრძოლა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 50:38.

საინტერესო გამოდგა ვაჟთა გუნდების შეჯიბრება. თბილისის ნაკრები გუნდი დაკომპლექტებული იყო „დინამოსა" და „ბურევესტნიკის" მთამაშეებით. პირველ ტაიმში ძირითადად თამაშობდნენ „ბურევესტნიკის" კალათბურთელები, ბრძოლა დაახლოებით თანაბარი იყო, ხოლო შედეგი ამ ბრძოლის შესატყვისი — 2:2, 4:4, 7:7, 12:12. ტაიმი დამთავრდა ფრანგ კალათბურთელთა სასარგებლოდ 23:22.

მეორე ტაიმში მოედანზე გამოვიდნენ დინამოელები — კილაძე, ინწკირველი, ხაზარაძე, ალთაბაევი, გოგელია. სტუმართა ყოველგვარი ცდა შეეხელებინათ დინამოელთა ტემპი და ხელთ ეგდოთ ინიციატივა უშედეგო გამოდგა. გაიმარჯვეს თბილისელებმა ანგარიშით 70:49.

ზურათებზე: (ზევით) გ. კაჩალინი მატჩის წინ უკანასკნელ დარიგებას აძლევს მ. მესხს; (ქვევით) გ. ჩოხელი და მ. მესხი პარიზის აეროპორტში.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

17 ივლისი

თეატრები: ფილარმონიის საზაფხულო — საესტრადო ანსამბლი ქაკ დუვალინის მონაწილეობით.

კინოები: **რუსთაველის სახელობის** — გუშჩაკი რიო დე ჟანეიროდან, **ამირანი** (საზამთრო) — ერთხელ ღამით, **ამირანი** (საზაფხულო), **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — თორმეტი ქალიშვილი და ერთი ვაჟი, **ოქტომბერი, სპარტაკი, საქართველო** (მწვანე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო), **კიროვის სახელობის პარკი, გაზაფხული, ვაკის პარკი** — თავზე ხელაღებული მძოლები, **ფილარმონიის ბაღი, თბილისი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო) — ოცნებები სრულდება.

ტელევიზია: 12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად, 12:15 — მხატვრული ფილმი „უსახლკარო", 19.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 19.20 — გადაცემა — „ქართველი მეტალურგები", 19.40 — საუბარი: „ქუჩაში მოძრაობის ახალი წესები", 19.50 — გადაცემა — „გამოჩენილი სოფეხი მწერალი და დრამატურგი გ. სუნდუკიანი, 20.30—კონცერტი.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:
თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 8-63-03, 8-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 8-72-80, სამდივნოსი — 8-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 8-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 8-57-61, სოფლის მეურნეობის — 8-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-80-84, წერილების — 8-73-24, ინფორმაციის — 8-16-90, ილუსტრაციათ — 8-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის—8-08-67, განცხადებების მიღებისა—8-64-42.

უე 04302 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.